საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახ. ტეგიანი გაზეთი; გამოდის ერთელ კვირაში ერთ ფურცელ.

№ 42 ოკტომბერი 5 1897 წ. № 42

ШИНААРСИ: კავკასიის ქვა-გუნდის მწარმოებელთა წესდების შედგენა და მისი მუხლების განხილვა გ. წერეთლისა.— სხვა-და-სხვა ამბები.—„კვალის“ კორესპონდენციები.—კართაგინელი ქალები წირვენ ძვირფას სამკაულს სამშობლო საკურთხევლის წინაშე გ. წერეთლისა.—ახალგაზდის ფიქრები, ლექსი ფანდისა.—წერილები ინგლისიდან (გაგრძელება) საზღვარ-გარეთელისა.—ბებია მოთხრობა (ელიზა ორეუშოსი) ნათარ. ელ. წერეთლისა.—გოდასპირ და ივანიკა ელვასი.

№ IX „ჯეჯილისა“ გამოვიდა და დაფურიგდა ხელის მომწერლებს.

კავკასიის ქვა-გუნდის მწარმოებელთა წესდების შედგენა და მისი მუხლების განხილვა.

ავკასიის მწარმოებელთა რჩევის მოხსენება ითხოვს, რომ ქვა-გუნდის წარმოების ასაღორძინებლათ საჭიროაო, რომ ჭიათურის გზაზე გადასატანი გზის ხარჯი შორაპნამდის შვიდი კაპეიკით შემცირდესო, ესე იგი ფუთზე ათი კაპეიკის მაგიერათ მხოლოთ სამი კაპეიკი გამოერთვასო. „რჩევის“ აზრით თუ სამი კაპეიკი დაადგინეს ტარიფათ ჭიათურის გზაზე, კავკასიის ქვა-გუნდის წარმოება ისევ აღორძინდებაო. განვიხილოთ ასეთი მოსაზრება, რამდენათ სამართლიანია?

თვით „რჩევის“ მოხსენება ამბობს, რომ ინდოეთის ქვა-გუნდა დღეს იყიდება ინგლისში და მსოფლიო ბაზარზე 9 და $9^1/_2$ პენსათ მეტალლის პროცენტი ერთ ტონზე, მაშინ როდესაც ჩვენი კავკასიის ქვა-გუნდა რომ $10^1/_2$ პენსათაც გაეყიდოთ, მწარმოებელი მაინც ზარალობს. ზემოხსენებული ფასი მსოფლიო ბაზარზე ჩვენი ქვა-გუნდისა რომ მხედველობაში მივიღოთ, მაშინ ფუთი ჭიათურის ქვა-გუნდისა ფოთში ჯდება $21^1/_2$ კაპეიკათ; გამოაკლე აქედან გზის ხარჯები ფოთამდის—სულ 16 კ., გამოდის, რომ თეითონ მწარმოებელს უჯდება ფუთი ქვა-გუნდა ჭიათურის საწყობზე $5^1/_3$ კაპეიკათ. ამ $5^1/_3$ კაპეიკიდან იმან უნდა მიცეს მადნებიდან გადასატანი ფასი უკანასკნელი $1^1/_2$ კაპ., არენდათ ვიანგარიშოთ $1^1/_3$ კ. გამოღება მადნისა $2^1/_3$ კ.—სულ ეს შედგა $5^1/_6$ კაპ. დარჩა დანარჩენი ხარჯების ფასათ:—კონტორის, ტელეგრაფი'ს, ფოჩტის, თავის წასასვლელ-წამოსასვლელათ ⅌ სხვა წვრილმან ხარჯების—მხოლოთ $^1/_6$ კაპეიკისა. განა ეყოფა? სრულიადაც არა. მაშასადამე მწარმოებელი მიუცილებლათ მაშინაც ზარალობს, თუ რომ მან მარგანეცის მეტალის პროცენტი ერთ ტონზე $10^1/_2$ პენ. გაყიდა მსოფლიო ბაზარზე; ინდოეთიდან მოტანილი ქვა-გუნდა კი დღეს იყიდება 9 და $9^1/_2$ პენსათ. შეუძლია თუ არა ამ მდგომარეობაში ჩვენმა ქვა-გუნდამ მეტოქობა გაუწიოს ინდოეთის მარგანეცს?—არასოდეს. და დღეს თუ ჩვენი ქვა-გუნდა მაინც მიდის მსოფლიო ბაზარზე და აძლევენ $10^1/_2$

პენსს, ეს იმითი აიხსნება მხოლოთ, რომ ინდოეთის ქვა-გუნდის წარმოება მარტო შარშანდელს აქეთ დაიწყეს და ჯერ კიდევ იმდენი ვერ გაუტანიათ მსოფლიო ბაზარზე, რომ საზოგადო მოთხოვნილება დააკმაყოფილოს. ამისგამო ჩვენ მარგანეცში ძალა-უნებურათ მეტი ფასი უნდა აძლიონ. მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ თუ დღეს-დღეობით ინდოეთმა ვერ მიიტანა თავისი მადანი იმდენი, რაც მსოფლიო ბაზარზე საჭიროა, ხვალ გააათკეცებს წარმოებას და კავკასიის ქვა-გუნდას კიდევ უფრო შავი დღე დაუდგება. ნუ დავივიწყებთ აგრეთვე, რომ კუბის ჩინებული ქვა-გუნდა, რომელსაც ფოსფორის მარილი სრულიადაც არა აქვს, დღეს შეჩერებულია, იმიტომ რომ კუბას ბრძოლა აქვს ისპანიასთან; დღეს თუ ხვალ მორიგდებიან და მაშინ კუბის საუკეთესო ქვა-გუნდაც კიდევ უფრო იაფათ წამოვა მსოფლიო ბაზარზე. მაშინ რაღა ეშველება ჩვენ ქვა-გუნდას?

„რჩევის მოხსენება“ გვირჩევს, რომ ახლავ შევუდგეთ ცდას, რომ სამინისტრომ ქიათურის გზის ტარიფი დაგვიკლოსო იმდენათ, რომ ჩვენც შევსძლოთ ჩვენი ქვა გუნდა იმ ფასათ გავყიდოთ, როგორც დღეს ინდოეთის ქვა-გუნდა იყიდებაო, ესე იგი მეტალის პროცენტი ერთ ტონზე $9^1/_2$ პენსათაო. ეს მაშინ მოხდება, როცა ახლანდელი ათი კაპეიკის ტარიფი სამ კაპეიკათ გახდება. მერე ეს რა სანუგეშო უნდა იყოს ჩვენთვის? განა ეს უშველის საქმეს?..

თვით „რჩევის მოხსენება“ აღიარებს, რომ დღეს ინდოეთის ქვა-გუნდა ფასობს $9^1/_2$ პენსათ მსოფლიო ბაზარზეო და რომ კავკასიის მწარმოებელს ქიათურის საწყობზე ფუთზე 8 კაპეიკი გაუხდესო და დღევანდელ ინდოეთის ფასათ გავყიდოთ ჩვენი მარგანეციც, საკმაოა ქიათურის გზის ტარიფი სამ კაპეიკათ გაგვიხადონო. სამწუხაროთ ასეთი მოსაზრება სრულებით არ გამოადგება ჩვენი ქვა-გუნდის წარმოების აღორძინებას. რა ანგარიშია დღევანდელ ინდოეთის ფასს შეუთანასწოროთ მხოლოთ ჩვენი ფასები მსოფლიო ბაზარზე? კარგათ ვიცით, რომ ინდოეთის ქვა-გუნდის წარმოება, ეს არის, ახლა იწყება, ისიც ვიცით, რომ ბრაზილია, კანადა, კუბა და იაპონია თავისი ჩინებული და აუარებელი ქვა-გუნდის მადნებით კარზე გვადგიან. რაც უფრო გაძლიერდება ინდოეთის და ზემოხსენებული ქვეყნების ქვა-გუნდის წარმოება, იმდენათ უფრო მათი გადატანის ფასები და ზღვის ფრახტები მოიკლებენ. მაშასადამე დღეს თუ ინდოეთის ქვა გუნდა მსოფლიო ბაზარზე $9^1/_2$ პენსათ არის, ხვალ, დამერწმუნეთ, ეს ფასი კიდევ დაიკლებს. მაშ ჩვენ რომ დღეს სამინისტროს შევღრიტინობთ, ქიათურის გზის ტარიფი სამ კაპეიკათ გაგვიხადეო, ხვალ კიდევ სათავცემოთ არ გავვიხდება ამ დაკლებული ტარიფის სიძვირეც? მაშ ის არ ჯობდა, რომ „რჩევამ“ ახლავე ეცადნა, ქიათურის ტარიფი დიდ რკინის გზის ტარიფს გათანასწორებოდა, რომ კიდევ სათავცემოთ არ გაგვხდომოდა ახალი თხოვნა და ახალი კრიზისების კარზე მოდგომა? ქიათურის გზამ თავისი თავი სამჯერ გამოიყიდა. ამასთანავე ისიც ცხადია, რომ ქიათურის გზაზე სამი კაპეიკის ტარიფიც მეტათ დიდია. ამ ტარიფით მთავრობა იღებს 200%. გაგონილა, რომ წესიერ ვაჭრობაში, საცა დიდი საწარმოებელი კაპიტალი ტრიალებს, 200% მოგება შეწყნარებულ იქმნას? ეს ხომ ცარცვა-გლეჯაა თვით წარმოებისთვის? განა ხელსაყრელი არ იქნება რკინის გზისთვის 200% მაგიერათ 20% დაკმაყოფილდეს, ესე იგი სამი კაპეიკის მაგიერათ, რომ ტარიფი 0,3 კაპეიკათ გახადონ. თვით ქიათურის რკინის გზისთვისაც დიდი მოგება იქნება, რომ სამი მეათედი კაპეიკის მეტი არ აიღოს ფუთზე შორაპნამდის. მაშინ ქიათურის ქვა-გუნდას ვერც ერთი სხვა ქვეყნის ქვა-გუნდა სიაფით ვეღარ დაჩაგრავს. მხოლოთ ამ შემთხვევაში იქნება უზრუნველ ყოფილი ჩვენი ქვა-გუნდის წარმოება მსოფლიო ბაზარზე. მაშასადამე საჭიროა ახლავე იზრუნოს ქვა გუნდის მწარმოებელთა „რჩევამ“, რომ ქიათურის ტარიფი სამინისტრომ, სამ კაპეიკათ კი არა, სამ მეათედ კაპეიკათ გახადოს შორაპნამდის. ამითი ჩვენი ქვა გუნდაც პირველ ალაგს დაიჭერს მსოფლიო ბაზარზე და მთავრობაც 20%-ზე ნაკლებს არ მოიგებს რკინის გზით გადატანაში. უამისოთ „რჩევის“ მეცადინეობა ტარიფის დაკლებაზე სრულებით ამაოთ ჩაივლის მარგანეცის წარმოებისათვის.

მეორე დიდი შეცდომა „რჩევას“ მოსვლია ტარიფით მონოპოლიის დადგენა. მარგანეცის მწარმოებელთა „რჩევა“ თავის მოხსენებაში ბრძანებს, ანუ უკეთ ვთქვათ, ურჩევს მთავრობას, რომ მომავალი კავკასიის სინდიკატის მარგანეცზე იყოს მხოლოთ ტარიფი დაკლებულიო, ხ გარეშე მწარმოებელს კი, რომელიც არ იქნება სინდიკატის წევრათ, ტარიფს ნუ დაუკლებთ, ისევ ის შეუძლებელი გადასატანი ფასი—ფუთზე ათი კაპეიკი—ახდევინეთო. გამოდის, რომ მწარმოებელთა „რჩევას“ ვაჭრობაშიაც ბატონ-ყმობის შემოტანა მოუნდომებია. მომავალი სინდიკატის წევრები ბატონებათ უნდა გახადოს და იმათ დიდი უპირატესობა უნდა ჰქონდეს მარგანეცის გადატანაში, ბანკებიდან ფულის შოვნაში, თავის საწყობების გამართვაში, ხოლო გარეშე მწარმოებელს კი, უკეთუ მან გაბედა სინდიკატში შესვლის ურჩობა, უნდა დაედგას ყმის აუტანელი უღელი, რომელმაც უფლება უნდა ახადოს ყოველს არა-წევრს სინდიკატისას, სინდიკატის ნება-დაურთველათ მარგანეცის აღებ-მიცემობა, ვაჭრობა და გატანა რომ არ გაბედოს. მერე თუ მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთლა ეს მოხდა, მაშინ სინდიკატშიაც ჩვენი დიდი მწარმოებლები ბატონურ ალაგს დაიჭერენ, უეჭველია იმ წესსაც მოიგონებენ, რომ, ვინც მათ არ ეპრიანებათ, სინდიკატის წევრათ აღარ მიიღონ და ამ სახით მთელი მარგანეცის წარმოება ათმა, თუ ოცმა კაცმა უნდა ჩაიგდო ხელში, მოჰკრას ფულის პირკებს თავი და მოუჭიროს. ჩვენ ყველაფერს წარმოვიდგენდით და, თუ მარგანეცის მწარმოებელთა „რჩევა“ ასეთს ურიგო თხოვნას მიართმევდა მთავრობას, როგორც არის სინდიკატის წევრების მონოპოლისტებათ გახდომა, ეს კი არ გვეგონა; მით უფრო, რომ, როგორც გვესმის, „რჩევის“ წევრებს შორის არა-ერთი გონება განვითარებული წევრი ურევია და ზოგი მათგანი ეკონომიურ ევოლიუციის თეორიასაც თურმე მომხრეობს. მაგრამ ევოლიუციაც არის და ევოლიციაც. ამქრობის შემოღება სინდიკატის სახელით არაფერი პროგრესია ახლანდელ მრეწველობის ხანაში. თითქმის ას ოცი წელი გადის მას აქეთ, რაც ევროპაში ცეხები და ამქრები მოიპარენ და, ვინ წარმოიდგენდა, რომ ჩვენი კულტუროსნები მეცხრამეტე საუკუნის გასულს შემოიღებდენ ჩვენში ვაჭრობისა და ალებ-მიცემობის შემჯაჭველ წესრიგსა. განა მთავრობა კი ნებას დართავს, რომ სინდიკატს იაფი ტარიფით გადაუტანონ მარგანეცი და გარეშე მწარმოებელს კი ძვირათ. ეს ხომ წინააღმდეგი იქნებოდა კანონმდებლობის თანასწორობისა სახელმწიფოში. საქმე იმაშია, რომ ვაჭრობაში რიდესაც დაარსდება სინდიკატი, მას უნდა ჰქონდეს აზრათ თანასწორი მფარველობა ყველა მწარმოებლებისა, მაშასადამე კავკასიის მარგანეცის სინდიკატს მხოლოთ ის მიზანი უნდა ჰქონდეს, რომ ერთნაირი უმაღლესი ფასი დაადგინოს ქვა-გუნდზე და საკეთილო შუამავლობა გაუწიოს მარგანეცის მწარმოებლებს, განურჩევლათ, კრედიტის მოპოვებაში, ტარიფებისა ან ზღვის ხარჯების შემცირებაში, საერთო საწყობებს გამართვაში და რიგანი მყიდველების აჩენაში მსოფლიო ბაზარზე. თითონ კი იმას უფლებაც არ უნდა ჰქონდეს წარმოება დაიწყოს და კერძო მწარმოებლებს მეტოქობა გაუწიოს. აი, პრინციპი სინდიკატის დაარსებისა. მაშასადამე „რჩევა“ დიდ შეცდომაში ჩავარდნილა, რომ სინდიკატის დაარსების უფლება მოუთხოვია მთავრობისაგან იმ განზრახვით, რომ სინდიკატს კერძო მწარმოებელზე რაიმე უპირატესობა ჰქონდეს წარმოებაში.

ამ სახით ჩვენ განვიხილეთ თავი და თავი საუუძველი კავკასიის სინდიკატის „წესდებისა“: 1, ტარიფის შემცირება ან 2, კავკასიის ქვა-გუნდის სინდიკატს საუპირატესო უფლებებით დაარსება. არც ერთი ეს საფუძვლები წესდებისა კავკასიის ქვა-გუნდის წარმოების ასაღორძინებლათ არ გამოდგება. მაშასადამე თვითონ წეს-დებაც, ამ თაღლით საფუძვლებზე აგებული, ფარაყოფილი უნდა იქნას. მართლაც წარსულმა კრებამ მარგანეცის მწარმოებლებისამ, რომელიც ქუთაისში მოხდა, განიხილა რა ზემოხსენებული წეს-დების პროექტის მუხლები, ბევრი მათგანი უარ-ყო და არ შეიწყნარა. ჩვენ მოვუცდით იმ პროექტის მუხლების შესწორებით დასტამბვას და მაშინ დაწვრილებით გავარჩევთ თვით კავკასიის ქვა-გუნდის წარმოების შესწორებულს მუხლებს წეს-დებისას.

ბ. წერეთელი.

სხვა-და-სხვა ამბავი.

ტფილისის საბჭოს კერძო ყრილობები დიდ ყურადღებას აძლევენ ქალაქის თავის კანდიდატების გამოძებნას; მაგალითათ, ღვინობისთვის 2 ს ყოფილა კიდევ ხმოსანთა კერძო ყრილობა, სადაც თვით შეძლებულ მოქალაქეთა პარტია გაყოფილა ორ დასათ, იმისთვის რომ ბ. კ. მ. ალიხანოვს საბოლოოთ უარი უთქვამს კანდიდატობაზე. ალიხანოვის მაგიერათ ბ. ივანგულოვი დაასახელეს კანდიდატათ, მაგრამ იმისმა სახელმა ვერ შეაერთა მთელი პარტია. რამდენიმე მათგანი თ. გ. თუმანიშვილის მხარეზე გადავიდენ ან ამითი ძალა მოემატა თ. გ. თუმანიშვილს, მაგრამ, ცოტა არ იყოს, აქ ფერხდება საქმე, რადგან ქალაქის თავის თანამდებობის ამსრულებელი ან გამგეობის წევრი ბ-ნი ივანენკოც დაასახელეს კანდიდატათ. თუ მართლა ბრძოლა ატყდა პარტიებს შორის, მაშინ შესაძლებელია ბ. ივანენკო აირჩიონ.

***

გორის მაზრაში საშინლათ მოდებულია ცოვებცხელება. ეს გარემოება მითი აიხსნება, რომ სოფლებში სამუშაო ალაგს დროს, განსაკუთრებით მკისა და თიბვის დროს მუშები ვერ შოულობენ ყანებში და მინდერებში წყაროს წყლებს და სმენ წუმპე კამთბარ წყლებს არხებიდან, რომლის გამოც იხაშმებიან; ამასთანავე უმწიფარ ხილის ჭამასაც დიდი ვნება აქვს კუჭის მოშლაზე. ამ ჭამათ ექიმ ბეზირგანოვს მოუთხოვია ავათმყოფების დასაწოლი ტახტების გამართვა თავის სამკურნალო მოწყობილობებით და ფერშლებით. საჭუჭაროთ ასეთი საჭირო დაწესებულებისთვის ჯერ საშუალება არსაოთ ჩანს.

***

ქალაქის სასიმთელო ზედამხედველმა (სანიტარის

ინსპექტორმა) გაუგზავნა ქალაქის გამგეობას მოხსენება შესახებ ახლათ მოსული გადმოსახლებული სომხებისა ოსმალეთიდან. იმათგანი მოსულა კიდევ სამასი სული დიდი და პატარა, ქალი და ვაჟი. იმათ შეუფარებიათ თავი ფალავანდოვისა და მარტყოფის ქუჩებზე ავლაბარში. გადმოსახლებულები მეტათ საზარელ მდგომარეობაში არიან და ითმენენ შიმშილ-წყურვილს. მომეტებული მათგანი ლონე გამოლეულია, ზოგნი ციებით არიან დახაშმულები; რამდენიმე კიდეც მომკვდარა. ბევრ მათგან სადგომებში რომ ვერ შეუფარებიათ თავი, ქუჩებზე და ეზოებში ყრიან უქვეშაგებოთ. ქალაქის სასიმთელო ზედამხედველი, მოახსენებს რა ასეთ გაჭირვებულ მდგომარეობას გადმოსახლებულებისას, თხოვს ქალაქის გამგეობას მიიღოს კაცთმოყვარული ღონისძიება და გააუმჯობესოს საწყლების ყოფა-ცხოვრება.

* * *

რუსული გაზეთი „ახალი მიმოხილვა" სარწმუნო წყაროდან გვაცნობებს, რომ თ. ზ. ერისთავს თავისი ოძისის მამული ორი ათასი დესეტინა სამეურნეო სამინისტროსთვის გადაუცია იმ პირობით, რომ იქ სამეურნეო სკოლა გამართონ. ამ სახით თავადაზნაურობას დაურეკა მან ხელი. ჩვენ როგორც გაგვიგონია, მის მამას თ. გიორგი ატამანს კი თურმე ანდერძსავით დაუგდია შვილისთვის, რომ მისი ოძისის მამული ქართველ თავად-აზნაურობას უნდა გადაცემოდა. ეს თუ მართალია, ძალიან გვაკვირვებს თ. ზ. ერისთავის საქციელი, როგორ უქცია პირი თავისი ღირსეული მამის ანდერძს.

* * *

სოჩაში გამოჩენილა შვენიერი მადნის წყლები და ახლა სამეურნეო სამინისტრო შედგომია ამ წყლების გაშვენიერებას და სამკურნალო წყლებათ მოწყობას.

* * *

ინჟენერ რომანოვს ,,ახალ მიმოხ.''-ს სიტყვით გაუთავებია კახეთის რკინის გზის მიმართულების გამოძიება და წასულა კიდეც პეტერბურგს. ის იწყებს თავის გამოძიებას სოუქბულახის სადგურიდან და მიემართება კარდანახისკენ, მერე გადის წინანდალზე და მიდის ახმეტას. ამასთანავე მან უნდა განიხილოს უწინდელი გამოძიებაც, რომელიც იწყება თფილისიდან, სახელდობ ნავთლუღის სადგურიდან, მალაროსკენ, მერე გადავა სილნახზე, ჩავა ალაზნის ხეობაში, მოუხვევს თელავისკენ, გაივლის ზაკურციხეში, წინანდალში და მიდის ახმეტას, შემდეგ აზრი აქვთ ახმეტიდან ევლახის სადგურთან შეუერთონ ბაქოს რკინის გზას.

როგორც ამბობენ, ამ გამოძიებასთან ერთათ დათავდა საკომერციო გამოძიებაც, რომელიც ამტკიცებს, რომ კახეთის რკინის გზის გაყვანა შთამომავლობისთვისაც სასარგებლო იქნება, რადგან შემოსავალი არ მოაკლდებაო.

* * *

გამოვიდა და დაურიგდა ხელის მომწერლებს მეორე წიგნი „კრებულისა"; ამ წიგნშია მოთავსებული ლექსი თ. ნ. დიასამიძის სახსოვრათ, უბრალო საუბარი (კრებულის ფოსტა), მოხუცი და ახალგაზდა, ლექსი, მედია დრამა, მაზე შენიშვნები, რომელთა შორის ბევრი ძალიან საგულისხმოა და ნათელს ფენს ქართულ მითებს. ქუთათლის სიზმარი (ისტორიული ოცნება), სიკვდილი, მოთხრობა, სულიკო — ლექსი, მავშეთი (ეთნოგრაფიული, სტატისტიკური და ისტორიული წერილი) მასალა წარმოდგენილია ზ. ჭიჭინაძისაგან. წიგნი სუფთათ არის გამოცემული, სოლო დაწვრილებითს ბიბლიოგრაფიას პირველ და მეორე წიგნზე გადავდებთ შემდეგისათვის.

* * *

ჩვენ მოგვივიდა ორი პატარა წიგნაკი, თხზულებანი დავით ქრისტეფორეს ძისა რუსულ ენაზე: ერთია მასკარადი, კომედია ერთ მოქმედებათ, ღირს ხუთ შაურათ და მეორე „мысли и афоризмы"-აზრები და აფორიზმები, პირველი ნაწილი, ღირს აგრეთვე ხუთშაურათ. ჩვენის აზრით, ეს წიგნაკები კიდევ უფრო იაფათ უნდა გამოეცა მათ შემთხზველს.

,,კვალის'' კორესპონდენციები.

ქალ. ტემრიუკს მთელ ყუბანის თემში სივრცით და მცხოვრებლების რაოდენობით პირველი ადგილი უჭირავს ქ. ეკატერინოდარს შემდეგ, მაგრამ სწავლა განათლების მხრით კი თითქმის უკანასკნელია. უწინ ეს ქალაქი ყუბანის ყაზახების სტანიცა ყოფილა, მაგრამ სხვა-და-სხვა მიზეზების გამო მთავრობას გაუუქმებია და ქალაქათ გადაუცვლია. ასე მჭიდროთ დასახლებულ ტემრიუკის სამხედრო განყოფილებას და თვით მდიდარ ქ. ტემრიუკსაც აქვს მხოლოთ ერთი გონების განმავითარებელი საუნჯე, კარგათ დაყენებული ტემრიუკის საქალაქო სამკლასიანი სასწავლებელი. ამ სასწავლებლის ზედამხედველათ იყო ბ. სპირიდონ ბიჭიას ძე თოფურია, რომელიც აგვისტოს შუა რიცხვებში გადაყვანილ იქმნა მართებლობის განკარგულებით ერევნის გუბერ-

ნიაში, ქ. ნახიჩევანის სამკლასიან სასწავლებლის ზედამხედველათვე, როგორც გამოცდილი და დამსახურებული ინსპექტორი ყუბანის თემის სახალხო სასწავლებლების დირექციაში. ამ ჩინებულმა პედაგოგმა ისე დააყენა სწავლა ამ სასწავლებელში, რომ იგი ითვლება დღეს მთელი ყუბანის თემის სახალხო სასწავლებლების დირექციაში საუკეთესო და სამაგალითო სასწავლებლათ....

ასისთავი მ. ბაქრაძე.

***

ბათომი. ვისაც გადაუთვალიერებია ისტორიაში ცხოვრება ჩვენი მამა-პაპებისა, ის შენიშნავდა ათას სხვასთან ერთს უმსგავსო ჩვეულებასაც, რომელსაც შეადგენდა: მოტაცება ურიცხვ ქალ-ვაჟთა და მათი გაყიდვა, როგორც უბრალო საქონლისა, სულ სხვა და უცნობ რჯულის კაცებში, რის მიზეზით იმ დროში სავსე იყო ოსმალეთის და სპარსეთის არამ-ხანები — ჩვენებური შვენიერი ქალ-ვაჟებითა. თუ არ ვცდები, ყველაზე მეტათ ეს უზნეობა ხდებოდა გურია-სამეგრელოს სამთავროებში, რომლის მიზეზით ხშირათ მომხდარა უსიამოვნება მთავართა და გავლენიან პირთა შორის. დრო შეიცვალა. როგორც ხდება ყოველთვის საუკუნოების განმავლობაში, რამოდენიმე ათი წლობით იკლო, თითქმის სულაც არ ყოფილა ეს უმსგავსობა, რომლის მეოხებით შეეძლო მშრომელ მუშას და აგრეთვე სხვა პირებსაც აღარ ეფიქრნათ იმაზე, რომ შვილს მომტაცებენ და გამყიდიანო. მაშინ ყმა ბატონისთვის შრომობდა, ბატონი კი იჯდა ნებივრათ და ოცნებობდა თავის გასართობ და შესაქცევ საქმეზე. დღეს სულ სხვას ვხედავთ. დღეს შრომა შეიქნა ნამდვილ ბრძოლათ არსებობისთვის. ეს თავგანწირული შრომა წარმოდგა ხალხის ნივთიერ დაქვეითებიდან, თანაც დარწმუნებულია მშრომელი ხელი, რომ თავის ნაოფლარს, ბევრი იქნება ის თუ ცოტა, თვითონ განაგებს და მისი მოხმარება მისივე საქმეა; ამ გვარმა გარემოებამ და ათასმა საჭიროებამ გამოიწვია საშრომათ როგორც მამა-კაცი, აგრეთვე დედაკაციც, (აქ ვგულისხმობ ფულის შოვნას, რომელიც წინეთ არ იყო ქალების ხელობა, და არა ოჯახში შრომას). სახლში რომ იმატა ოჯახის წევრმა და არ ყოფნიდათ სამუშაო მასალა, იწყეს ცოტ-ცოტათი სახლს გარეთაც გასვლა, ბოლოს და ბოლოს ქალაქებსაც შეეჩვიენ. სოფელში ორი ქალის მოშორება საკმაო შეიქნა, რომ ბევრის გული აეტოკებია ქალაქისკენ წასვლას და იქ ფულის მოგებას. თუ, როგორ ხდებოდა ეს, არავის წარმოუდგენია. ამ ოთხი-ხუთი წლის აქეთ ისე იმატა გურიიდან ჩამოყვანილმა გოგოებმა, რომ ერთი მეორეს ეჯიბრებოდენ, ჯამაგირსაც ნაკლებს თხოულობდენ, ოლონდ [illegible] სასამსახურო ალაგი, მაგრამ როგორც [illegible] ნეთ ხელსაქმე ნაკლები იყო, ვინემ თვითონ მოსაქმე. აი, ამ გზააბნეულმა უცხო გოგომ — უცხო ალაგას სულ სხვა გზას მიმართა: „გარყვნილობას“ და „უწმინდურებას“, რომლის მოთავე შეიქნენ ძველი ნამსახური და „გამოცდილი“ ქალები. დღეს ეს ხელობა ისე გავრცელებულია, რომ წარმოგიდგება ტყვეების ყიდვა წინანდელი დროისა, მხოლოთ ამ განსხვავებით: დღევანდელი ტყვეების ყიდვა, ნებაყოფლობითია და არა მოტაცებითი. აი, მაგალითათ ავიღოთ ბათუმი. აქ ცხოვრობს ვიღაც „ფ—ნა“, „გურულ ქალთა კონსულათ“ წოდებული, რომელიც ისე დახელოვნებულია მის საზიზღარ ხელობაში (გარყვნა გაუწმინდურებაში), რომ სხვა ხელობა რამ თუ აელო სასპარეზოთ, და ასე ემეცადინებია, ყველაფერში პირველი იქნებოდა, როგორ ახლა არის პირველი მის საზიზღარ ხელობაში. ვინ მოთვლის: რამდენი ქალიშვილი უცებ დედათ გადაუქცევა უქორწინოთ და უხარჯოთ, პირ იქით ფულიც აუღია, რამდენი ბოვში შეუქმნია მსხვერპლი უბედურების, რამდენი უმანკო ქალი მოუშორებია საუკუნოთ მის აღმზრდელ სახლ-კარზე და ვინ იცის, რა რჯულის კაცს ყავს ართვინში და ახალ-ციხეში. თვით ქ. ბათომი ხომ სავსეა ამ გვარი უზნეო და გარყვნილი ქალებით. სად გნებავს, რომ არ იყვეს: სასტუმროებში, რესტორანებში, ლუდხანებში და კერძო ოთახებში; აგრეთვე რკინის გზის სადგურზე ნახავთ „ფ—ნას“ ორი, ან სამი გასაყიდი გოგოთი. როცა კითხავთ მათ ვინაობაზე, სულ სხვა გვარათ მოგიგებს პასუხს, ათას მიზეზს უცებ მოახერხებს, როგორც ამას წინათ იმოქმედა ერთ რიგიან და პატიოსან ოჯახში. დარწმუნებულმა „ფ—ნამ“ იმათ გულკეთილობაზე და კაცთ-მოყვარეობაზე მიმართა ასე: „უბედურება მეწია, ბატონო, უბედურება: ვინცხა ქალი შამოვიდა ჩემს კონახში და მომიყვა მის გაჭივრებას, მაგრამ მე „გამოუცდელი“ ამ გვარებში, რას მივხვდებოდი, თუ რა უჭირდა, ამ დროს ჩემმა მეზობელმა რაცხა საქმეზე დამიძახა, კაი ხანს შევრჩი იმას ლაპარაკში. თურმე იმ უბედურს, ჩემ „სტუმარ ქალს“, მშობიარობა ჰქონდა მოახლოვებული და ჩემს გარეთ ყოფნაში ქე დაებადება ბალანაი. თვითონ ქე გაპარულა სადღაც და აგი ბალანაი ქე მიუტოვია ჩემთვის! ახლა თქვენი შვილების სადღეგრძელოთ მომეხმარეთ და ამოზარდეთ აგი ბალანაიო“. შეწუხებულმა ამის მომსმენმა „ფ—ნას“ უთხრა: „ძიძას რომ ვიშოვიდე, რადგანაც ასეთი საზიზღრობა მომხდარა, მადლია და ამოვზრ-

დით". — ძიძას მე გიშოვით, მოახსენა გაქნილმა „ფ—ნამ". აი, საქმე როგორ ყოფილა: „ფ—ნამ" ის ქალიშვილი სანამ დედა შეიქნებოდა ატარა მის „პატიოსან მუშტრებთან". როგორც დედა შეიქნა, მაშინ კი წაიყვანა და ვიღაცას მოსამსახურეთ დაუყენა. შვილი კი მიატოვებინა სირცხვილის დასაფარავათ. ახლა რა კი დარწმუნდა, რომ ფულით დამხმარებელი იშოვა, ადგა და ის დედა ძიძათვე მოუყვანა თავის ღვიძლ შვილს. ამაზე მეტი მოხერხება გინდათ? შემწე რომ არ ეშოვა ბოვშის აღსაზრდელათ, თუ რას იქმოდა „ფ—ნაი" ეს მისი საიდუმლოებაა. ამ გვარი მაგალითები ათასია. ყველა ეს ზემოთ ჩამოთვლილი უზნეობა მოსამსახურე გოგოებისა ნივთიერი სიღარიბის ბრალია, მაგრამ ამ გვარი ქცევით ისინი მდიდრდებიან კი? პირიქით ეცემიან სულიერათ, კარგავენ სარწმუნოებას და ბოლოს იქცევიან თვითონ „ფ—ნეებათ", რომელიც ბუდეა ყველა საზიზღარ და უზნეო მოქმედებისა.

საჭიროა, ყურადღება მიექცეს „ფ—ნას" ხელობას, დაუფიქრდენ მშობლები იმ ბოვშებისა, ვისაც „ფ—ნას" ნდობა აქვთ, აგრეთვე იმ ახალგაზდა ქალებმაც ეცადონ თავიანთ პატიოსნებაზე, რადგანც ჯერ ჩვენში მოუხერხებელია მოსამსახურეთა საზოგადოების შედგენა, რომ მათი გაგება ერთს ექვემდებარებოდეს, ამიტომ მივმართავ ყველა გულშემატკივარ პირებს, მიაქციონ ცოტა ყურადღება „ფ—ნას" ხელობას და იზრუნონ იმ გზა აბნეულ ცხვართათვის. ნეტავი, ვინ უწყობს ხელს იმ „გურულ ქალთა კონსულ" „ფ—ნას", რომ ვერავინ უბედავს კრინტის დაძვრასაც, როდესაც დარწმუნებული არიან მის უზნეო და საზიზღარ მოქცევაზე.

გ. ციმბირელის შვილი.

* * *

ს. ფუთი მდებარეობს შორაპნის რკინის გზის სადგურიდან სამი ვერსის მანძილზე და ეკუთვნის იმავე შორაპნის საზოგადოებას, ის შედგება სამასი კომლისგან. სხვა სოფლის მცხოვრებლებზე მდიდარნი არიან ყოველიფრით, მხოლოთ მეტათ დასჯილი არიან უსკოლობით. მრავალჯერ გამოჩნდენ თვით ამ სოფლის ნასწავლნი შვილები, რომლებმაც მოინდომეს სკოლის გახსნა. სოფლელებიც დიდი სიხარულით მიეგებენ მათ წადილს და სკოლის სადგურის აშენებაზე თანხმობა განუცხადეს, მაგრამ მათდა საუბედუროთ, ერთმა მათგანმა დღემდის ატყუა თავის მრევლს: მოიცადეთ, ჩემი შვილი დაასრულებს სასულიერო სემინარიასო და, ის რომ ჩამოვა, მაშინ მე ჩემი ხარჯით გავხსნი სკოლასო; მართლაც ამ წელში მისმა ვაჟმა გაათავა სემინარია და ჩამოვიდა, რომელსაც ხალხი დიდი სიხარულით შეეგება, სიამოვნებით მეპყრებდენ მას და მოელოდენ მისგან, სიბნელიდან გამოხსნას, მაგრამ მათდა საუბედუროთ იმ სემინარისტმა სრულებითაც არ შეიბრალა თავის საწყალი სამშობლო, ისეთი მდიდარი აზრები წარმოთქვა, რომ მისი აზრების შესრულება ამ საწყალი მრევლისათვის უძნელესი შეიქნა: მან მოინდომა შემდეგი სკოლის შენობა შვიდ ოთახიანი; მან მოინდომა პანსიონის გახსნა იქავე, იქავე სკოლაში მიღებულ მოწაფეებს უნდა შემოეტანათ ათ-ათი მანეთი თითოს თვიურათ და იქვე სკოლაში ეცხოვრათ, რომელიც მათ საკუთარ სახლიდან ათი საჟენის სიშორეზედაც არ იქნებოდა. ეს ამ ფუთის მრევლმა ვერ შეიძლო და დარჩენ საწყლები ისევ სიბნელეში.

ახლა უმორჩილესათ ვთხოვ რევიზორს სამრევლო სკოლებისას, ბ. კელენჯერიძეს, რომ, როგორც რევიზორმა, უმეტესი ყურადღება მიაქციოს ამ საწყალ უსწავლელობისაგან დაჩაგრულ ს. ფუთს და, როგორმე ამ სოფელში დაარსდეს ერთკლასიანი სამრევლო სკოლა მაინც, სადაც სამართლით ორკლასიანიც უნდა გახსნილიყო აქამდის. ს. ფუთის მცხოვრებლები არამც თუ მოინდომებენ სკოლის აშენებას, არამედ მზათ არიან თავი თვისი შესწირონ სკოლისათვის. ამასაც დავსძენ, რომ მეტათ ვემადლიელები იმავე სოფლის ეკლესიის პირველ მედავითნეს ალექსი თუთბერიძეს, რომელმაც თვისი მონდომებით შეადგინა ხალხის გადაწყვეტილება სამრევლო სკოლის აშენებაზე, რაზედაც მთელი მრევლი ამ სოფლისა ხელს აწერს.

გულერიანე თუთბერიძე

კართაგინელი ქალები წირვენ ძვირფას სამკაულს სამშობლოს საკურთხევლის წინაშე.

ძველი ისტორიიდან ცნობილია, რომ როდესაც რომაელები ებრძოდენ კართაგინელებს და შემოზღუდეს უმთავრესი კართაგენის სახელმწიფო დედა-ქალაქი, მაშინ მეტი ღონე აღარ იყო, ყველას უნდა გაეწირა თავი სამშობლოს დასაცველათ. იმ დროს კართაგინელმა დედა-კაცებმა განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი. ისინი არამც თუ მამაკაცებთან ერთათ ჩადგენ სამხედრო რაზმში საბრძოლათ, არამედ თავის საუკეთესო სამკაულზე — გძელ თმებზედაც-კი ხელი აიღეს. ისინი იკვეცდენ თმებს, რომ მათგან თოკები და ბაწრები დაეწნათ ქვის სას-

როლ მანქანებისთვის. რაც რამ ოჯახში ძვირფასი ნივთი მოეძებოდათ, გამოჰქონდათ და წირავდენ ტაძრებში სამშობლო ღვთის ადონაის წინაშე, საიდანაც ეს ძვირფასეულობა გაჰქონდათ ქურუმებს და იმითი მეომრებს ქირაობდენ სამშობლოს დასაცველათ. აქ დასტამბული ნახატი წარმოადგენს იმ სურათს, როდესაც კართაგენის წარჩინებული ქალები შეკრებილან ადონის ტაძარში და მიაქვთ თავისი სამკაული შესაწირავათ. ადონაი ქანანეველი ღმერთია, რომელიც ებრაელებსაც რწამდათ.

წინასწარმეტყველის იეზეკიილის დროს ტაძრის ჩრდილოეთის კარისკენ იყო ამ ღმერთის სახელი წარწერილი, რომ ებრაელთა ქალებს თაყვანი ეცათ მისთვის. ქართველი ებრაელები ამ ჟამათ განსაკუთრებით ამ ადონაის იხსენებენ ლოცვაში.

საბერძნეთის ისტორიკოსი ჰეზიოდი მოგვითხრობს, რომ „ადონისი" იყო ძე ფინიკიელის თეზიასიო, ხოლო კიპროსის კუნძულზე თქმულებით, იგი იყო შვილი ასურეთელის პაფოსისა, რომელმაც კიპრის კუნძული დაასახლაო. ამ პაფოსმა ვითომც თავის უნებურათ თავის ქალიშვილთან, მირრასთან, რომელიც მას აფროდიტისგან მიეცაო, შვა ძე ადონისიო. როდესაც პაფოსმა გაიგო, რომ იგი შეუცდენია მის ქალიშვილს მირრასო, გაბრაზდა და უნდოდა ქალიშვილის მოკვლაო, მაგრამ ღმერთებმა არ დაანებესო და გადააქციეს იგი მირტის ხეთ, საიდანაც წარმოდგა ქალაქის სმირნის სახელიცო. ეს მირტის ხე რამდენსამე თვეს შემდეგ გასკდა და მის საშოდან გამოვიდა ადონისიო, უშვენიერესი ვაჟი ყოველი კაცის ნაშობზეო. ის მიითვისა აფროდიტამ და საიდუმლოთ ჩააბარა სულების ღმერთას პერსეფონასო. ამან კი დაისაკუთრა ეს შვენიერი ადონისი და აფროდიტას აღარ დაუბრუნაო. აფროდიტამ იჩივლა უმაღლეს ღმერთთან, ზევსთან, და მან გადუწყვიტა ასეთი სამართალი: შვენიერი ადონისი ერთი მესამედი წელიწადი უნდა ცხოვრებულიყო აფროდიტასთან, მეორე მესამედი წელიწადი უნდა გაეტარებინა პერსეფონასთან და მესამე მესამედი წლისა თავისუფლათ უნდა ყოფილიყო.

მიუხედავათ საბერძნეთის მითოლოღიისა, თავდაპირველათ ადონაი მაინც ფინიკიელების ღმერთი იყო და, რადგან კართაგენის ქალაქი ფინიკიელებისგან იყო დაფუძნებული, ამისთვის ადონაის მსახურებაც ფინიკიელებთან ერთათ გადვიდა თვით კართაგენის ქალაქში. ბოლოს კი ამ ადონაის მსახურება საბერძნეთშიაც გადიღეს კიპრის კუნძულიდან და შეუდგინეს მას ზემოხსენებული მითოლოღიური მოთხრობა.

ადონისი იყო ყოველგან აღსარებული ბუნების ღმერთათ. ადონისის დღესასწაულობა მთელ ძველ საბერძნეთში იცოდენ გაზაფხულზე და ზაფხულზე. ზაფხულობით მისი დღესასწაულობა სამგლოვიარო იყო, რადგან რწამდათ, რომ ერთხელ ადონისი ნადირობის დროს ველურმა ტახმა დაჰკრა და მოკვდაო; მეორე დღესასწაულობა მისი კი გაზაფხულზე იყო დანიშნული, ფრიად სამხიარულო, რადგან ამ დროს დღესასწაულობდენ მის აღდგომას, გაცოცხლებას. ადონისის დღესასწაულობანი თვით ბუნების მოვლენიდან არიან წარმომდგარნი. როდესაც გაზაფხულზე მკვდარი ბუნება ისევ მწვანით შეიმოსება და ყოველივე არსი ბუნებისა გაცოცხლდება ბრწყინვალე მზის სითბოსგან, მაშინ ეს მოვლენა ადონისის გაცოცხლებას ნიშნავს, ხოლო როდესაც მწვავე სიცხისაგან პაპანაქება ზაფხულის მიწურულში ყვავილები და ხის ფოთლები იწყებენ დაჭკნობას, მერე შემოდგომის ცივი ქარი ძირს ჩამოყრის მათ, ხეებს გაატიტვლებს, ბოლოს დადგება ზამთარი და მკვდარ ბუნებას თეთრი სუდარი გადაეფარება თოვლისა—ეს კი ადონისის სიკვდილს ნიშნავს ტახისგან ჭრილობით. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დღესასწაულობის დროს ადონისის წალკოტსა, რომელსაც ქალები შეამზადებდენ ხოლმე შემდეგ ნაირათ. ისინი მოიტანდენ მიწით სავსე თიხის ქოთნებს და შიგ რგავდენ სხვა-და-სხვა ყვავილებს და დაუდგამდენ წინ ადონისის კერპს. როდესაც ყვავილები დაჭკნებოდა, მაშინ დღესასწაულობაც გათავდებოდა და ქალები ამ დამჭკნარ ყვავილებს ამოიღებდენ ქოთნებიდან და ჩაყრიდენ წყალში ნიშნათ იმისა, რომ ეს ყვავილები მომავალ წელს კვლავ გაცოცხლდებიანო.

გ. წერეთელი,

ახალ-გაზდის ფიქრები

კიდევ ლექსი!.. მუდამ ლექსი!..
არ გათავდა, არ ეშველა!..
უნიჭო და ნიჭიერი
გაჰლექტდა ჩვენში ყველა!..

—

ზოგი არის პესიმისტი,
ხშირ ცრემლებით დაგვასველა!..
უიმედო, უძალ-ღონოდ
გაახშირა კრუღვა-წყევლა!..

—

ზოგს უღვივა გულს იმედი,
განუმრახავს მომქის შველა,

რწამს აწმყო და მომავალი,
იქ აშუქებს, სადაც ბნელა!..

—

კარგათ ამჩნევს, რომ გამრავლდა
ჩვენ მხარეში ტურა-მელა;
მათმა მტრობამ და მოყვრობამ
დაგვაქცია, დაგვანელა!..

—

ზოგი ეტრფის ძველს და წარსულს
მას უგალობს ტკბილა, ნელა...
მარა ამით ჩვენ ქვეყანას
მწუხარება არ ენელა!..

—

ბევრი იღვწის მხოლოთ სიტყვით,
საქმე უველას კი ეძნელა,
უვიცობამ გაგვამწარა,
აგვრია და აგვაჭრელა!..

—

სიღარიბე კარს გვადგია,
ქრისტე ღმერთმა ის დაწყევლა!..
იმან მოგვკლა, გაგვათავა,
დაგვჩაგრა და დაგვანელა!..

ფანდი.

წერილები ინგლისიდან.

II *)

ლონდონი.

ქუჩა. ლონდონსაც, როგორც ყველა ქალაქს, ქუჩა აქვს. მარა არის ქუჩა და ქუჩა. ჯერ ერთი, რომ სად იწყება, ან სად თავდება, ღმერთმა იცის. მიდიხარ, მიდიხარ და დასასრული არ უჩანს. ასე გგონია, უდაბნოში ვარო. მეორე, აქაური ქუჩის ცხოვრება დიდათ განსხვავდება სხვა დიდ ქალაქთა ქუჩის ცხოვრებისაგან.

ბერლინის ქუჩაზე სალდათები და ოფიცრები ბატონობენ და თუ ბერლინელი თავის ლუდ-ხანიდან გამოძვრება, მხოლოთ იმიტომ რომ ამ ბატონთ სასოებით თვალი გადაავლოს და კმაყოფილებით სავსე ისევ უკან დაბრუნდეს. ერთი ალიაქოთი ატყდება მხოლოთ მაშინ, როცა ჯარის კაცთა რაზმი

*) იხ. „კვალი“ № 41.

ეროვნული ბიბლიოთეკა



კართაგინელი ქალ[illegible] წირვენ ძვირფას სამკაულს სამშობლო საკურთხევლის წინაშე.

თავისი საკრავებით, ხალხის გასართობათ თუ შესაშინებლათ, ქუჩებზე ჩამოივლის. ყველა თავის ლუდ და ყავა-ხანას ტოვებს და ფეხ-აკრეფით გაექანება იქით, საიდანაც ჩექმის ქუსლთა ბრაკა-ბრუკი და ლეკურის ჩხრიალი მოისმის. ეს ბერლინის ქუჩის უმთავრესი მომენტია.

პარიჟის ქუჩა არის ის, რაც თვითონ პარიჟია, ანუ, უკეთ, პარიჟი ეს პარიჟის ქუჩაა. პარიჟელი ქუჩაზე გამოდის ორი საქმისათვის: ან სამხიარულოთ და ან საბრძოლველათ. აქ არის ან სიცილი, ან და რევოლიუცია. მარა იმასაც ნუ დაივიწყებთ, რომ პარიჟელი ბარიკადაზეც კი იღიმება. ყველა დიდი საქმე აქ ქუჩაზე კეთდება; სიტყვა „ქუჩის კაცი“ ყოველგან გინებათ ითვლება, ხოლო პარიჟში კი სახელათ. აქ ერთათ არის არისტოკრატი და დემოკრატი, მდიდარი და ღარიბი, ლამაზი და მახინჯი, დინჯი და ცელქი, ყბედი და მუნჯი, მეცნიერი და უმეცარი, ერთი სიტყვით ყველა წრის ქალი და კაცი. აქ არის მათი rendez-vous.

ლონდონის ქუჩა არცერთ ამათგანს არ ჰგავს. აქ არცერთი რიგიანი კაცი ქუჩაზე არ გამოვა, მხოლოთ იმიტომ რომ გამოვიდეს. თუ გამოვა უეჭველათ, სადმე წასასვლელათ, საქმის გასაკეთებლათ. ერთ წუთში თქვენ წინ ათასი ჩაივლის და ათასივე ისე მიიჩქარის, გეგონება ვინმე უკან მოსდევს და მოერეკებაო. არსად ხმაურობა და ლაპარაკი, არსად სიცილი და ცელქობა. დიდ და პატარას დაფიქრებული და საქმის კაცის შეხედულობა აქვს.

აი, თქვენ ხედავთ 12—13 წლის ბავშს, მაღალი საყელო, მოკლე პიჯაკი, თავზე ვეებერთელა ცილინდრი, ხელში დიდი ქოლგა (აქ უქოლგობა სირცხვილია), იღლიაში რაღაც ქაღალდები. მიდის სერიოზულათ. ის საქმის კაცია.

აი, მეორე ახალ გაზდა, სახე დაღერემილი, ფეხთსაცმელი გაკრიალებული, პერანგი კვამლისაგან გაშავებული, ტანისამოსი ჩაჭვარტლული, ხელზე ხელთათმანები, საკვოიაჟი. მიდის სწრაფათ. ის საქმის კაცია.

აი, ჩაიარა ერთმა ხანში შესულმა კაცმა. მიდის უფრო ნელა, ეტყობა იმას დროზე ფული მოუგია და ახლა აღარ ეჩქარება. მარა არც ის ჩერდება, აქეთიქით არ მიიხედ-მოიხედავს. მიდის და მიდის პირდაპირ. რა ჰქნას, ჩვეულება რჯულის უმტკიცესია. ის საქმეზე მიდის, გამოცდილი საქმის კაცია.

აი, ჩაიგრიალა ეტლმა, მას ერთი მიფლეთილ-მოფლეთილი ადამიანი მიდევს. რატომ? როცა გაჩერდება, ბარგს გადმოვიტან და ფულს ავიღებო (უნდა მეთქვა მაჩუქებენო, მარა ეს ხმარებაში არ არის, ინგლისელი არას იჩუქებს). სად, ან როდის გაჩერდება, ვინ იცის. ის კი მიდევს და არ ეშვება. ისიც საქმიე კაცია.

ამ საერთო ფაცა-ფუცში ხედავთ ერთ კაცს, რომელიც ზანტათ მიათრევს ფეხებს, ყოველგან ჩერდება, ყველაფერს ათვალიერებს, ერთ დალაქის დუქანს ერთ საათს უცქერის. ეტყობა მას არავითარი საქმე არ აქვს. აი, ეს ნამდვილი ქუჩის კაცია და, რასაკვირველია, გესიამოვნებათ, აკი, ერთი ამხანაგი მყოლიაო. ვინ არის ის? ინგლისელი? არა, ის თქვენსავით ხამი უცხოელია.

ახლა ქალებს არ იკითხავთ? არსად ისე ახირებულათ ჩაცმული ქალი არ შეგხვდებათ, როგორც აქ. არავითარი სიმეტრია, შეფერებ-შეხამება მის მორთულობას არ ატყვია. აბა შეხედეთ მის ქუდს, შავი, წითელი, თეთრი, ყოველნაირი ფერია ერთმანეთში არეული. შავი კაბა, თეთრი გადასაცმელი, გაკრახმალებული საყელო, წითელი გალსტუკი—ერთი სიტყვით საშაგალითოა, ეს ინგლისური ესტეტიკაა. მიდის კაცურათ, აკეთებს გძელ ნაბიჯს, წელში გამართული, გული წინ წამოწეული, მხრები უკან გადაწეული და რომ დიდი ტანოვანები იყვენ, გმირის შეხედულება ექნებოდათ. ისიც ისე თავ-მოძულებულათ მიიჩქარის, როგორც მამა კაცი. მარა —ქალის სისუსტე, მოდის მაღაზიებთან, უნდა შეჩერდეს, უამისოთ არ იქნება.

ქალთა შორის უეჭველათ შესანიშნავია ყვავილების გამყიდველნი. ესენი პარიჟში ერთნაირი ქუჩის გმირები არიან. თავიანთი სიკოხტავით და ეშხით ხიბლავენ გამვლელ-გამომვლელთ, ლონდონის კი მხოლოთ შეგაშინებს და, თუ ვინმე მისგან ყვავილს იყიდის, უთუოთ შიშით, არ შემომიბღვიროსო. ის არის სქელი, ზორბა, ხნიერი, შავათ ჩაცმული, წინ თეთრი ფართუკი, სწორეთ ლონდონის საკადრისია. ან კი ვისთვის რა საჭიროა აქ მომხიბლველი არსება, ვის ცალია მოსახიბლელათ, თუმცა ინგლისელს ვარდის გულზე ტარება ძალიან უყვარს, რაიცა ამტკიცებს იმას, რომ მას უფრო ყვავილი ხიბლავს, Chacun á son goût...

აქაური ქუჩის გმირია მიკიტანი და ქადაგი. ერთი ათრობს ხალხს სასმელით, მეორე სიტყვებით, პირველი საქაოზე ზრუნავს, მეორე საიქიოზე.

სამიკიტნო აქ ერთ დიდ როლს თამაშობს. დილიდან შუაღამემდი შიგ გამოუვლეველათ არის ხალხი. უცებ შემოიჭრება მუდამ საქმიანი ინგლისელი, გადაკრავს ერთს, თუ ორ ჭიქა სასმელს და ისევ საჩქაროთ გარეთ გავარდება. ეს, ასე ვთქვათ, გამვლელთა სახლია. ინგლისელი მას უწოდებს Public house —საზოგადო სახლი. ამიტომ შიგ არც სკამებია, ყველა ფეხზე დგას, დასაჯდომათ არავის ცალია, რაც

უნდა გძულდეთ სამიკიტნო, ერთხელ მაინც მოგიხდებ-თ შიგ ყოფნა. აი, მაგ. უცებ წვიმა მოვიდა, თავ-შესაფარს ეძებთ, მირბიხართ აქეთ-იქით ლა, როცა ვერსად ნახავთ, რაღა დაგრჩათ, თუ არა ისევ „საზო-გადო სახლი“. დასველებას ისევ იქ შესვლას არჩევთ და კიდევაც შებძანდებით; ამ შებძანებას ხომ თავი-სი შედეგი მოყვება, თავ-ს-შეფარება მუქთა არ არის. სამიკიტნოს წინ სამ ნაირ ხალხს დაინახავთ. იმას, რომელიც შიგ შესვლას აპირებს და ფიქრობს, შევ-დე, თუ არაო. ის შეიძლება რომელიმე „ზომიერთა საზოგადოების“ წევრია, აღთქმა დაუდვია არაყი არ დაეღლიოთ. აი, ახლა ყველა ამაებზე ფიქრობს და ჯერ-ჯერობით ვერა გადაუწყვეტიარა. მეორე რჯულს წარმოადგენს ის, რომელიც სამიკიტნოდან გამოვიდა და იქვე კარებთან მოაგონდა, თუ რა დიდი ცოდვა ჩადინა და ნანობს, რატომ მომიდა ასეთი სისუს-ტეო. ხოლო მესამე ის, რომელსაც სმა მოძულდა მარა სხვისი სმის დანახვა უხარია. აქაც ხან-და ხან იმართება მიტინგი (ყრილობა), სმ-ს წინააღმდეგ. ეს ასე წარმოებს: გამოვა ერთი — ზომიერების მოყვარული — და დაიწყებს ქადაგებას მაგარი სასმელის მავნებ-ლობაზე და წყლის სარგებლობაზე. დალეული თუ დასალევათ მიმავალი შეჩერდება და უსმენს. მიკიტა-ნი კი ულვაშებში იცინის. აი, როგორ ლაპარაკა ერთმა ასეთმა მქადაგებელმა: – მე ხომ მხედავთ, რო-გორ კარგ ფერ-ხორცზე ვარ (ჩასუქებული იყო), არც არასოდეს ავათ არ ვყოფილვარ, რისთვის? იმ-სთვის რომ 19 წელიწადია წყლის მეტი არა დამილე-ეიარა. წინათ კვირაში 6 შ-ლინგს სამიკიტნოში ვხარ-ჯავდი, აი, ეს ფულიც შემენახა და დროც მოვიგე. საღამოს სამიკიტნოს მაგიერ სამკითხველოში მივდ-ვარ და ქვეყნის ამბავს ვტყობილობ, ან და შინ ვრ-ჩები, ჩემი უფროსი ქალი-შვილი გაზეთს, ან წიგნს წამიკითხავს და ასე დროს ვატარებ. მე ერთი მუშა-კაცი ვარ, მარა შვილები შეძლებული კაცვით და-ეხარდე, რით? ბმ-თ, რომ სასმელში ფულს აღარ ვხარჯავ, მის მაგიერათ სკოლაში და წიგნებში ვხარ-ჯავ. 18 წლის ვიყავი, წერა-კითხვა არ ვიცოდი, სმ-ს თავი დავანებე და საღამოობით საღამოს სკოლაში ვიარ. მოკლე დროში ისე ჩინებულათ ვისწავლე, რომ არა მგონია, რომელიმე თქვენგანმა მაჯობოს...

სმა მავნებელია, როგორც თქვენთვ-ს, ისე დე-დოფლისთვის. თქვენთვის კიდევ მეტი, იმიტომ რომ ჯან-მრთელობასთან ერთათ გაღარიბებსთ და გაღა-ტაკებსთ. თქვენი ჯიბ-ს პატრონი, აი, ის მიკიტანია.

— ერთი ჭიქა ლუდი არავის გააღარიბებს, წა-მოიძახა ვილაცამ.

— ერთი ჭიქა არა, მარა ერთს ორი და მეტი მოყვება. მაშ მოდი და მოაწერე ხელი ამ ქაღალდ-ს, ერთი ჭიქის მეტი არ დაელიოთ.

ამოიღო დავთარი და მართლაც ბევრმა მოაწერ-ა ხელი. მერე გავიგე, რომ ის ერთი „ზომიერთა საზოგადოების“ აგენტი ყოფილა. ასეთი აგენტები მრავალია და მართვენ მიტინგებს, არა მარტო ლონ-დონში, არ-მედ ყველგან, მთელ ინგლისში.

ძალიან ხშირათ იმართება რელიგიური მიტინ-გი. უცებ ატყდება ბარაბანი და მოისმის საკრავთა ვრიალი. რა ამბავია? დიდი არაფერი, 4—5 წევრი რომელიმე რელიგიური საზოგადოების (ასეთი საზო-გადოება უთვალავია) დამდგარან შუა ქუჩაზე და უკ-რავენ, შემდეგ იმღერებენ, ამასობაში ხალხიც მოი-ყრის თავს, შეაჩერებენ საკრავს და ერთი მათგანი დაიწყებს ლაპარაკს. ის ეხება ყველაფერ საკანს: და-ბადებას, ქრისტეს, ლოცვას, ეშმაკს, მუშას, მინის-ტრს, ხელმწიფეს და სხვ. ერთი სიტყვით ყველაფერს და ბოლოს ათავებს ასე: ხსნა მხოლოთ ჩვენ საზო-გადოებაშია, ჩაიწერეთ წევრათ, ცხონებას მუქთათ მიიღებთო. ასეთი მიტინგები, ჩვეულებრივ, წარმო-ებს საღამოობით, როცა ხალხი საქმეებისაგან თავ-სუფალია.

ლონდონის ქვაფენილის მყოდროებას არღვევენ, გარდა ამ მოქადაგეთა, მეგაზეთე ბავშები. ესენი სწო-რეთ ლონდონის ქუჩის საკუთრებაა. ხნით 9—11 წლის, მიგლეჯილ-მოგლეჯილი ტანისამოსით, სახე დაწითლებული, (მგონია მეტი ყვრილით) უშიშარი და უტიფარი. როგორც კი ხელთ იგდებენ გაზეთის ახალ ნომრებს, ატეხენ ერთ ვაი უშველებელს, პირ-ველათ დარბიან და გაჰკრავენ გაზეთის სახელს და შიგ მოთავსებულ შესანიშნავ ამბავს (მუდამ არის რ-მე „შესანიშნავი“). ამ სირბილში გაზეთი დაძველ-დება, საცაა ახალი ნომერიც უნდა გამოვიდეს და ისინიც უკლებენ რბენას. ახლა გაჩერდებიან ერთ ალაგას, უფრო სამიკიტნოს წინ და დიბალი ხმით გაზეთს გაწვდიან. ამათში ყველაზე უყოჩაღესია ის, რომელიც ყველაზე უწინ გასაღებს თავის ნომრებს. ეს კი ასე ადვილი არ არის, ამას სწავლა უნდა, ეს ერთნაირი ხელოვნებაა. საუკეთესო მეგაზეთე შორი-დან შეგატყობს, გაზეთი გინდა, თუ არა, ზოგი კიდევ, რომ არ გინდოდეს, მოგანდომებს, ატყობს იმას, თუ რა ხალხს რანაირი ამბავი აინტერესებს და მის წინ ი-მ ამბავს იძახის, მარა ყველა ეს ხდება სწრაფათ, შე-უჩერებლივ. ერთ წუთს არ ჰკარგავს არც ის და არც მყიდველი. ერთი წუთი ხუმრობაა, აქ ის ერთი ოქ-რო ღირს! ეს ბავშები ერავითარ ჯამაგირს არ იღებ-ენ, იღებენ მხოლოთ პროცენტს მათ მიერ აღებულ ფულისას, რაც აორკეცებს მათ მუყაითობას და ბე-ჯითობას.

სუბლიერ-ბერეული.

(შემდეგი იქნება).

ბ ე ბ ი ა.

(ელიზა ორჟეშკოსი).

III. *)

ჭუ! ტადო გადაბრუნდა, დაიკვნესა, სუსტი ჩახლეჩილი ხმით წამოიკნავლა, წყალიო. სიცხე აქვს! ბებია სავარძლიდან წამოხტა და ისე მსუბუქათ მოირბინა ლოგინთან, თითქო ოცი წლის ახალგაზდა ქალი ყოფილიყოს, ნაზათ მიუახლოვა ბავშის გახურებულ ტუჩებს, მის სიცხისგან ავათ მყოფ ჩიტსავით დაღებულ პირს ჭიქა, სიყვარულით ჩაუჩურჩულა რამოდენიმე ტკბილი სიტყვა და ტადომ ხელ ახლა დაიძინა, დაიძინა, თუმცა ძალიან მოუსვენრათ. აშფოთებული სუნთქავს, იასსავით მაღალი და სპეტაკი შუბლი მთლათ შეუნაოჭდა. წელში მოხრილი ბებია თვალს არ აცილებს, თავის პატარა „კნუტს" და გულში სულ უფრო და უფრო ხმა მაღლა იმეორებს „ღმერთო, ღმერთო, ღმერთოო!" ამის მეტის ვერაფრის თქმა ვერ მოუხერხებია, მაგიერათ მთელი მისი სული და გული, მთელი მისი გრძნობა და გონება ამ ერთ მოკლე სიტყვაშია ჩართული...

ბებიამ ვერც კი შენიშნა, რომ ოთახის კარი გაიღო, ორი ქალი შემოვიდა და მის გვერდში გაჩერდა. ერთმა მათგანმა წაუჩურჩულა:

— წადით, დაიძინეთ, დედა, ადელი მოვიდა, ამაღამ ბავშებთან ის იქნება.

ადელი რძლის და არის, ხანში შესული ქალწული, ყოველთვის აბრეშუმის კაბაში გამოწყობილი, მუდამ წარბებ შეკრული და ტუჩებ მოკუმული.

ბებიას გული ჩაეთუთქა. რათ უნდა დაუთმოს, რათ, თავის ადგილი ადელს? რძალს კიდევ დაუთმობდა, დედა სულ სხვა არის, ეს კი... ეს ხომ თითქმის სულ უცხო ქალია? მისი აბრეშუმის კაბა ისე შრიალებს ბავშის ლოგინთან, რომ ნამდვილათ გამოაღვიძებს საწყალ ავათმყოფს! მერე ვინ იცის, ადელს იქნება კიდეც დაეძინოს, მისი გული ხომ ისე ხმა მაღლა არა სცემს, როგორც ბებიასი, რომ დაძინების ნება არ მისცეს თავის პატრონს? ბებია წელში გაიმართა, ახალგაზდასავით გაბრწყინებული თვალები ხვეწნით მიაპყრო რძალს და წყნარათ შეევედრა:

— იულია, ჩემო ძვირფასო....

მაგრამ დაღონებული სახის გამხდარმა ქალმა მაშინვე შეაწყვეტინა სიტყვა:

— დავას ნუ დაიწყებთ, დედა, როდესაც სახლში ამისთანა უბედურებაა, სხვას მაინც არ უნდა უშლიდეს ხელს ადამიანი!

ხელს უშლიდესო? ბებიას ერთად ერთი სურვილი და მისწრაფება ის არის, რომ ხელი არავის შეუშალოს! მისი გაბრწყინებული თვალები უცებ დაიბნიდა, გამართული წელი ისევ მოიხარა... სხვა ღონე არ არის, უნდა წავიდეს ამ ოთახიდან.

ადელმა ოთახში გაიარ გამოიარა აბრეშუმის კაბამ ისეთი შრიალი დაიწყო, რომ ადამიანს ეგონებოდა, საშინელი ქარი ამოტყდაო. რა ჭკუაა ავათმყოფებთან ღამის გასათევათ აბრეშუმის კაბის ჩაცმა? ბებიამ ისე მიიკრა გულზე ორივე ხელი, თითქო ლოცვას აპირებდა.

— იულია, მარტო ამ ერთ ღამეს მომეცი კიდევ ნება ბავშებთან ვიყო!

აქ კი ადელიც ჩაერია ლაპარაკში.

— უძილობით დასუსტდებით, ავათ გახდებით და ყველას შეაწუხებთ!

რძალმაც დაუმატა:

— ნუ გაიწყდებათ, თქვენი ხანი, დედა!

ღმერთმა დაიფაროს ბებია, რომ ვინმე შეაწუხოს! არც თავის ხანი აეწყდება. ან კი როგორ შეიძლება მისი დავიწყება, რასაც ყოველ წამს გაგონებენ?

ბებია წავიდა. ამ რამოდენიმე წამის წინეთ ისე მირბინა შვილი-შვილის ლოგინთან, თითქო ახალგაზდა ქალი ყოფილიყოს, ახლა კი შვილის ოთახში ისე მოწყვეტილათ მიდის, რომ ფეხებს ძლივს ხმარობს, წელში მოხრილა, დამძიმებულ თავში მარტო ერთი მოუშორებელი ფიქრი უტრიალებს; როგორ უნდა გავატარო ეს გძელი ღამე საყვარელ კნუტებთან დაშორებით, ტადოს უნახავათო? დარწმუნებულია, რომ ბავშების ჯავრით ერთ წამსაც არ დაეძინება და მისი პატარა, მობუზული ტანი კიდევ უფრო იბუზება და კიდევ უფრო ღრმა მოხუცებულობის შთაბეჭდილებას ახდენს ყველაზე... გაცვეთილი ფეხსაცმელები ისე მისთრევენ იატაკზე, თითქო ისინიც მივიწყებულ და მიგდებულ არსების სამწუხარო და სასაცილო მდგომარეობაზე ჩიოდენ...

ზიგმუნტი ისევ მაგიდას უზის და ისევ გულმოდგინეთ მუშაობს.

— დედა, დედა! ჩურჩულით დაუძახა უეცრათ მან დედას.

ეს რას ნიშნავს? ზიგმუნტი თითონ დაელაპარაკა? დიდი, დიდი ხანია მას აქეთ, რაც ეს აღარ მომხდარა! უწინ საღამოობით დედა მიუახლოვდებოდა ხოლმე შვილს, ნაზათ გადაუსვამდა თავზე ხელს, კრძალვით ეტყოდა, დაისვენე, მაგდენი მუშაობა კარგს არ დაგაყრისო, მაგრამ შენიშნა, რომ უშლიდა, შენიშნა, რომ მის მორიდებულ მოფერებას შვილი მხოლოთ უნდომი, უგულო კოცნით უპასუხებდა და

*) იხ. „კვალი" № 41.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულებით დაანება თავი, აღარ ეკარებოდა, ცდილობდა, აჩრდილსავით შეუმჩნევლათ გაევლო ხოლმე მის გვერდში. ახლა კი ზიგმუნტმა თითონ დაუძახა! დედა მაშინვე მიუახლოვდა.

— რა იყო, ზიგმუნტ?

ზიგმუნტი წელში გაიმართა, მიაპყრო დედას დაღალულ-დაქანცული თვალები და უთხრა, დღეს ჩვენი სახლის ჭერ ქვეშ ვიყავი და მოულოდნელათ ერთ ბნელ კუნჭულში ყველასაგან დავიწყებული საათი ვიპოვნეო.

— ის საათი, მუსიკიანი, ხომ გახსოვთ, მამას ოთახში რომ იდგა ხოლმე?

სიხარულისაგან აფანცქალებულ გულზე ბებიამ ორივე ხელი მაგრათ მიიჭირა.

— ღმერთო! მუსიკიანი საათი! მახსოვს, მახსოვს, როგორ დამავიწყდებოდა? ჭერ ქვეშ! ბნელ კუნჭულში! ღმერთო ჩემო! ოდესმე კი... ვერაფრის კითხვასაც კი ვერ ვბედავდი. მაშ იპოვნე? ხომ ისევ იქ არის, ზიგმუნტ, ჭერ ქვეშ, იმ ბნელ კუნჭულში? შეიძლება, ხვალ დილას წავიდე?.. ვნახო?..

აკანკალებული, ფერდაკარგული ტუჩებით ბებია ისე ლაპარაკობდა საათზე, როგორც ძვირფას ადამიანზე.

— ვიცოდი, რომ გესიამოვნებოდათ მისი ნახვა და მსახურის დახმარებით თქვენ ოთახში გადავიტანე. კედელთან დგას. მოსამართი კლიტეც კოლოფის თავზეა. საათი ცოტათი დაჟანგებულა.

ბებიამ მოინდომა შვილისთვის მადლობა გადაეხადა, მოინდომა სიყვარულით მოხვეოდა იმ თავს, რომელმაც მის სიამოვნებაზე იფიქრა, მაგრამ ზიგმუნტი ისევ მაგიდისკენ მიბრუნდა და საწერს დააჩერდა.

— გვიან არის, ზიგმუნტ, დაისვენე... მაგდენს ვერ აიტან! — კრძალვით წაუჩურჩულა დედამ.

მაგრამ ზიგმუნტი კიდევაც წერდა. მისი კალამი ისევ სწრაფათ დასრიალობდა ქაღალდზე. თავ აუღებლათ მან მოკლეთ უპასუხა:

— რა ვქნა, დედა, საჭიროა!

ბებია წავიდა თავში სულ ეს სიტყვა უტრიალებდა: „საჭიროა, საჭიროაო!“ ზიგმუნტი კარგი კაცია.. მისი ცხოვრების გარემოებები მძიმეა, მაგრამ ის მაინც დაუღალავათ და მედგრათ ებრძვის მათ. აი, ამ გარემოებებმა და ამ აუტანელმა ჯაფამ დაუმძიმეს და გაუქვავეს გული... მაგრამ ეს გული მაინც სულ არ ჩაჩუმებულა. — თუ გინდ ძველი საათი!.. ზიგმუნტს არ დავიწყებია და მის დანახვაზე თავისი დედაც გახსენებია... არა, გული აქვს, ოღონდ დრო არა აქვს ამ გულის, სიყვარულის საჩვენებლათ... მძიმე, ძალიან მძიმე ქვებს დაადებს ხოლმე ხან-და-ხან ადამიანის გულს ცხოვრება! საწყალი, საწყალი გული! ამ ქვეყნათ ის ერთათ ერთი ნამდვილი საუნჯეა! მაგრამ, რა გაეწყობა!

და ისევ მსუბუქათ და მარდათ არბის ბებია ბნელ და ვიწრო კიბეზე. ეჩქარება რაც შეიძლება მალე ნახოს ძვირფასი წარსულის განუშორებელი მოწმე, დაუვიწყარი მეგობარი, მეგობარი, რომელსაც მარტო სახე კი არა, ხმაცა აქვს! გაცოცხლდა, დაბრუნდა საყვარელი არსება და ბებია ჩქარობს, მირბის რომ სიყვარულით მიესალმოს მას და აღელვებით ჰკითხოს: „როგორა ხარ? გახსოვს? გახსოვს ყველაფერი?“

IV.

ძველი საათი ასი წლის იქნებოდა. ერთ დროს დიდ პატივისცემაში და ფერაობაში იყო; ის უყვარდათ, თავს ევლებოდენ, უვლიდენ და ყოველთვის თავ-თავის დროზე აღვიძებდენ ხოლმე სასიცოცხლოთ; მაგრამ განვლო დრო და ჟამმა, ის ბნელ კუნჭულში მიაგდეს და საათი სამუდამოთ ჩაჩუმდა. ახლა კი მოულოდნელათ ისევ გამოიტანეს იმ კუნჭულიდან, რომელშიდაც ამდენი წელიწადი გაატარა მარტოობაში და სიჩუმეში.

საათი წარმოადგენდა ებენის ხის დიდ, მაღალ და წვრილ კოლოფს, რომელიც მთლათ ბრინჯაოს ქანდაკებით იყო მორთული და რომლის ზევითაც ხე რგვლათ იყო ამოჭრილი. იქიდან გამოიყურებოდა თვით საათის სახე, რგვალი, წაყვითალო, თორმეტი შავი რიცხვით და ორი საათის მაჩვენებული ისრით. ლამპრის სინათლეზე ცხადათ ჩანდა, რა ნაირათ წამხდარიყო საათი, ხის ნაწილები დასკდომოდა, ბრინჯაოს ქანდაკები დაჟანგოდა, გამტვერული კი სულ არ იყო; ეტყობოდა, სანამ აქ მოიტანდენ კარგათ გაესუფთავებინათ. პატარა გასაღები კოლოფის თავზე იდვა.

ბებია საათის შორი-ახლო გაჩერდა და გაკვირვებით მიაჩერდა მას. მიბნედილ თვალებს ხშირ-ხშირათ აფახურებდა, მწუხარებისაგან და დროსაგან შუბლზე დაჩნეული ნაოჭები უფრო ცხადათ გამოეხატა, თხელი ტუჩები ენძრეოდა, თუმცა ერთი სიტყვის თქმაც ვერ მოეხერხებინა. ბოლოს, როგორც იქნა, ბებიამ რაღაც წაიჩურჩულა და ისე დააქნია გაჭაღარავებული თავი, თითქო საათს ეკითხებოდა:

— როგორა ხარ, მე მახსოვს, ყველაფერი მახსოვს, შენ? — მაგრამ მიახლოვებით მაინც არ უახლოვდებოდა და მხოლოთ თვალს არ აცილებდა საათის გაყვითლებულ სახეს. საათიც ყურადღებით დასჩერებოდა ზევიდან; გაშლილი ისრები რაღაც მხიარულ გამომეტყველებას აძლევდენ მის რგვალ, მოყვითალო სახეს; თითქო მკლავები გაეშალა ძველ მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გობარს მეკობრის მისაგებებლათ და აღტაცებით უპასუხებდა:

— შენ როგორ ღა ხარ? მომიახლოვდი! მეც მახსოვს, მეც, როგორ არაო!

რამოდენიმე წუთმა გაიარა. ორი მოხუცი სახე, ქალის და საათის, ერთი ქვევიდან, მეორე ზევიდან, ჩუმათ უყურებდენ ერთმანეთს; ამ სურათს მკრთალ ნათელს ჰფენდა პატარა ლამპარი, რომლის შუქზედაც კედელზე დაკიდებული ჯვარცმა წუნარათ და მშვიდობიანათ ანათებდა.

ბებია გამოერკვა. ისევ ახალგაზდა ქალის სისწრაფით მიიტანა საათთან სკამი, შეეხდა ზედ და გულმოდგინეთ დაუწყო საათს თვალიერება. მთელია! მთელი! გარედან არაფერი ნაკლი არა აქვს! ნეტავი შიგნით თუ წამხდარია? მოწყობაზე შეეტყობა .. ოდესმე ბებიაზე უკეთ არავინ იცოდა მისი მოწყობა, ახლაც მოახერხებს! კარგათ იცნობს საათს! ჯერ მამის ოთახში ხედავდა ყოველ დღე, მერე ქმრისაში... ბავშობაში ეს საათი უსაზღვრავდა თავის მუსიკით თამაშობ ს და სწავლის დროს, ქალობაში ესევე საათი ესწრებოდა ყოველ მის ბედნიერებას და უბედურობას, ამავე საათმა დაჰკრა იმ საშინელ წუთს, როდესაც იასი სამუდამოთ გამოესალმა ამ წუთისოფელს...

საათმა ბევრი სხვა-და-სხვა ხმების დაკვრა იცოდა. ბებიას ალარც ერთი ალარ ახსოვს, მოლოთ ის ახსოვს კარგათ, რომ ყოველ საათს სახლში სხვა-და-სხვა ნაირი მუსიკა ისმოდა და არღვევდა ხან ღამის წყვდიადს და სიჩუმეს, ხან გატაცებულ დავას და ლაპარაკს, ხან ტკბილ, სიყვარულით სავსე, ჩურჩულს...

ისევე ენატრება ამ მუსიკის გაგონება ბებიას, ენატრება ისე, თითქო ეს მუსიკა გაცოცხლებული წარსულის სიტყვები იყოს. საათს მომართვა ჭირდება. ბებიამ ერთი მოატრიალა და ღმერთო! ამდენ ხანს გაჩუმებულმა მეგობარმა ისევ ამოიღო ხმა და თანასწორათ, თუმცა ცოტა მიყრუებულათ, დაიწყო „ტიკ-ტაკ. ტიკ-ტაკ“ო.

ძველ საათს ლაპარაკიც შესძლებია! იქნება მუსიკის დაკვრაც შეიძლოს!

ბებიამ გასაღები აიღო და საათს შინჯვა დაუწყო. ხან ერთ ნახვრეტში ჰყოფდა გასაღებს, ხან მეორეში, ხან ხელს დაჰკერდა, ხან მარჯვნით გასწვედა, ხან მარცხნით. ისე ყურადღებით მოქმედობდა, რომ შუბლის წვრილი ნაოჭები წარბებ შორის ერთ განიერ ღარათ შეურთდა, მკრთალი ფერის მიბნედილმა თვალებმა კი ოქროსფრათ ელვარება დაუწყეს. სწორეთ ამ დაფიქრებულ და ერთი სურვილით, ერთი აზრით გატაცებულ სახის პირ-და-პირ კი საათის მრგვალი მოყვითალო სახე თან-და-თან უფრო მხიარულ გამომეტყველებას იღებდა... ლამპრის მკრთალი შუქები ლამაზათ ელვარებდენ ბრინჯაოს პატარა ქანდაკებში.

ბებიას ხელებ ქვეშ რაღაცამ დაიჭრიალა, რაღაცამ ამოჰყო თავი და ისევ დაიმალა. საათი შიგნითაც მთელი ყოფილა, არ წამხდარა, კიდევაც დაუკრავს, დაუკრავს, მაგრამ ჯერ არა! ჯერ რომელიმე საათი უნდა შესრულდეს, დაჰკრას და მას თან მუსიკაც მოჰყვება. ბებიამ მეოთხედი საათი უნდა იცადოს კიდევ; მოიცდის, ბნელაში მოიცდის, რა საჭიროა ტყუილა ნათის დახარჯვა, დასუსტებული თვალებიც ბნელაში უფრო მოისვენებენ!

ბებია მოხერხებით მოთავსდა განიერ საყარძელში, დააკრო ლამპარი ფ სინარულით მიიხედ-მოიხედა. ეგონა, ოთახი მთლათ ერთიანათ დაბნელდებოდა, ახლა კი ულამპროთაც სინათლე იყო. იქ, სადაც შარს, ცაზე, აუჩქარებლათ მოცურავდა ნახევრ მთვარე და ბებიას პატარა ფანჯრისკენ მკრთალ ოქროს ფერ სხივს გზავნიდა, რომელიც წვრილ ბილიკს ემსკავსებოდა. ეს სხივ ბებიას კაბას და ფეხებს აშუქებდა, სახეს კი ჩრდილში ტოვებდა. ცოტა მოშორებით ძველი საათიც სინნელეში იყო და აჩრდილივით გამოიყურებოდა შავი კოლოფიდან ბნელაში მოქათქათე მოყვითალო სახით. ბებიამ ხელები გულზე დაიკრიბა და თვალები მკრთალ ოქროსფერ ბილიკს მიაშტერა, რომელიც ბრწყინვალე, მოკაშკაშე ცი ლან მიეი ოთახის უბრალო ფიცრის იატაკამდის ჩამოსულიყო.

მოისმა ცოტათ ჩახლეჩილი, მაგრამ ძალიან მაღალი ხმა. შუაღამის საათმა დაჰკრა და აი, ღამის წყვდიადში და სამარისებურ სიჩუმეში გაისმა მუსიკის ხმა, ნელი, წყნარი და დინჯი, ხან ნაზი და წარმტაცი, როგორც ახალგაზდა საქმრო-საცოლოს გრძნობა, ხან ამაყი ფ მედიდური, როგორც ახლათ გამარჯვებული რაინდის ფიქრი... ეს იყო—პოლონეზის მუსიკა.

ბებია წელში გაიმართა და აკანკალებული თითი ათრთოლებულ ტუჩებს მიუტანლოვა. ჩუ!... ეს ის პოლონეზია, რომელსაც მის ჯვარისწერის დღეს უკრავდენ, ის პოლონეზი, რომლის ხმაზედაც ის იასთან ერთათ ცეკვამდა ჯვარ-საწერი თეთრი კაბით, თეთრი ყვავილების გვირგვინით ხუჭუჭ შავ-თმაზე.. ცეკვამდა სადღესასწაულოთ გაჩაღებულ, მოქეიფე ფ მხიარული ხალხით გატენილ დიდ დარბაზში...

საათი სულ უკრავს. მის მუსიკაში ისმის სხვა-და-სხვა საკრავების ხმა, ხან მაღალი და სწრაფი, ხან ნაზათ შეწყობილი და წყნარი... ბებია არ სცდება! ეს ის პოლონეზია, რომელსაც ის და იასი ცეკვამდენ თავ ს ქორწილში.

სადღესასწაულოთ გაჩაღებულ დარბაზში მოდის, სიცოცხლით და ძალღონით სავსე ახალგაზდა კაცი; მაღალ, სპეტაკ შუბლს წაბლის ფერი ხეჭეჭი თმა

უშვენებს, მის მოკაშკაშებული ცის კამარასავით ლურჯ თვალებში უსაზღვრო სიყვარული გამოკრთის; პატარა ოთხკუთხი ქუდით მარცხენა ხელში, ის მხიარული და ბედნიერი უახლოვდება ბებიას, მაშინ ჰაეროვან, შვენიერ ახალგაზდა ქალს, თავიდან ფეხებამდის თეთრებში გამოწყობილს... ქმარი ჩერდება ახალ-გაზდა ცოლის წინ და მარცხენა ხელის გაქნევით სათამაშოთ იწვევს; მეორე ხელს სიყვარულით ჰკიდებს ბედნიერებისაგან ათრთოლებულ ხელში და აი, წყნარი, შეწყობილი ნაბიჯით, როგორც საზოგადოთ პოლონეზში იციან, შვენიერი ქალ-ვაჟი მიდის, მიდის უბიწო სიხარულს, უბოლოო ბედნიერებისაკენ...

საათი სულ უკრავს; ნელ-ნელა ბებიას თვალებს რაღაც ნოტიო ლიჩაქი ეფარება. ერთი მსხვილი ცრელი ჩამოგორდა ამ მიბნედილ თვალებიდან და ფერმკრთალ ხელზე დაეცა. ბებია უცებ გამოერკვა, თვალები გააფართოვა და მისმა ჩალურჯებულმა ტუჩებმა თითქოს უგრძნობლათ წამოიძახეს: „ეს რა არის, ვინ არის, ღმერთო?“ გაკვირვებისაგან და შიშისაგან ლოგინს მიჯდომილი, ზევით აწეულ და გაშეშებულ ხელებით, ბებია ერთ წერტილს მისჩერებია და ანგარიშ მიუცემლათ, თითქმის უკრძნობლათ მხოლოთ ამ სიტყვებს იმეორებს „რა არის, ვინ არის, ვინ, ღმერთო?“

ელ. წერეთელი.

(შემდეგი იქნება)

გოჯასპირ და ივანიკა.

გოჯასპირ. ააა, გამარჯობა ჩემს ივანიკას!.. სადა ხარ, კაცო, ამდენი ხანი სად დაიკარგე, რომ თვალით აღარ მეჩვენე?!..

ივანიკა. იიიმე, ღმერთო კი მომკალი, მე და შენი დავიწყება!!.. მეც ძალიან მენატრებოდი, შენ ნუ მოუკტები ჩემ თავს, სულით მუდამ შენთან ვიყავი, ჩემო გულის კოლიტევ, მარა ხო იცი, კაცის ნძორს რამდონი ვაი-უშველებელი მოდევს? გაქირდა, ძმაო, გაჭირდა ცხოვრება!.. მიგვეკნიტა კუდის რიკი!.. რათ გინდა მარტო გაფხეკილი აზნაურიშვილობა და ან თავადიშვილობა!.. მამული აფერს იძლევა და დედული... შინ კი ათასნაირი სირცხვილ-ნამუსი გაწევს თავზე და ყველას პასუხის გაცემა უნდა!.. ოჯახში მისვლაც კი შემძულდა: აგი აგიაო, იგი იგიაო, შენ ხარ ჩემი ბატონი, ამას ეს უნდაო, იმას ის უნდაო,— ჩამეცივებია ცოლ-შვილი და საიდან, რაფერ, რა ნაირათო კი აღარ კითხულობენ!..

გოჯასპირ. ეგრე რა გაცხარებს, კაცო! მართლა შენა ხარ მაგ დღეში ჩავარდნილი თუ? ერთი ჩემსაც იკითხე და!..

ივანიკა. ახლა კი, მადლობა ღმერთს, ღვთისა და თქვენი წყალობით გაქრა ჩემმა მაცადინობამ!.. გამოვაბი თავი დაბუნდულ საქმეს!.. შენ ნუ მოუკტები ივანიკას, ჩემს მეტი ვერაფერი კაცი ვერ მოაგვარებდა ამ საქმეს!..

გოჯასპირ. რა საქმეს?

ივანიკა. არ გახსოვს, შარშან რომ გელაპარაკებოდი, „ბანკში“ მინდა დავაგირავო ჩემი მამული, მარა ბრეული მონაწილეები მყავს და ვერ გავახერხებ-თქვა? ახლა ქეც მუვახერხე და ქეც გავათავე. დევიჟანსმე, შენ ხარ ჩემი ბატონი, ყველა მოზიარეები, ევიდე იგინიდან ვექილობა, დოვერიალდი შენ მოწონებულათ საქმეს, გემევიტანე პლანი ვარო, ჟურნალი ვარო და რაცხა ათასი ბელასინი. გემევიტანე და მოვუსვი მაშინათვე „პრიამათ“ პეტრებურხისკენ და ერთ კვირაში იქანა გავჩითი. იქანა ერთი ჩემი შორეული ნათესავი დიდი კაცის დახმარებით გავარიგე საქმე: დავაგირავე სულ ათასი „დესეტინა“ და, აგაა, ქე დავბრუნდი!.. შინ გემევიარე სახარებლათ და, არც კი შემიცდია, ისე გამევეშურე აქეთკენ. აქანა გამიკეთეს „პერევოდი“ „გოსუდარსტვენი ბანკის ადელენიაში“ და ახლა უნდა გემევიტანო ასი ათასი მანათი!..

გოჯასპირ. ბიჭოს!.. შენ გაკეთებულ ხარ კაცი!.. მომილოცავს, ჩემო ივანიკა!..

ივანიკა. კაი ფულია, შენ ნუ მომიკტები! ოც-და ხუთი ათასი მანათი მიწევს მე საკუთრათ!..

გოჯასპირ. შესატანი შენდა-თავათ რამდენი მოდის წელიწადში?

ივანიკა. რა შესატანი? რავა, თამაშობა ხომ არაა, რომ გემეეიტანო და ისთეელე ქე შეეიტანო?! ჩვენი „დვორიანსკი ბანკი“ ხო არ გგონია, რომ პრაცენტის შეუტანლობიზა ადგილი გაგიყიდოს? ამისთანა ბედს ჯერ არკაცი შესწრობია, ჩემო გოჯასპირ!.. პრაცენტის წალდგენა, შენ ნუ მოუკტე ჩემ თავს, უარესიც კია: თუ დროზე არ წაალდგინე პრაცენტები, მამულს თურმე ხაზინა ჩამოგართმევს და აპეკუნსაც დოუნიშნავს. ისთე მოუვლიან თურმე მამულს, რომ თავის თავსაც დეიკმაყოფილებენ და შენც ბრეულს გასარგებლებენ!.. ახლა იმას არ იკითხავ, თუ რამდონს იძლევიან „დესიატინაში“? სადაც ჩვენი „დვორიანსკი ბანკი“ ორმოც მანათს ვერ იმეტებს, იქანა „ბანკი“ ასს და ორას მანეთს იძლევა!.. პირი გაგვილო სტორეთ ცამ, ჩემო გოჯასპირ, პირი!.. აპა, შენ რალას უპირობ შენ მამულს, გოჯასპირ?

გოჯასპირ. ეეე, რალას უნდა ვუპირობდე, ჩემო ძმავ!.. ვეღარ დავალწიე თავი იმ ჩემ.... არუთინასა; ცხრა წელიწადი კიდევ ლა უკლია, იჯარის ვადის გასვლას. მერე ის მამა ცხონებული, რა კარგი კაცია, რომ იცოდე.—ჩემთვის სულსაც კი არ იშურავს, თორემა რამე ხრიკებს მოვუგონებდი, თქვენში რო იციან—და კანტრახტს დავურღვევდი, მაგრამ რა ვქნა, რომ სამაგისო კაცი არ არის!—გაიგებს თუ არა, რომ ფულზე სუსტათა ვარ, მაშინვე მოვა და მეტყვის:—კნიაზ-ჯან, რათ წუხდებით, მიირთვით, რამდენიც გნებავსო. მეც, აბა, სხვას რისთვის-ლა მივმართავ? აგერ ათასი თუმნის ვექსილები მიმიცია რალა!..

ივანიკა. რავა დაგემართა, ჩემო გოჯასპირ, მაგისთანა საჯაყი საქმე?!.. მისთანა შენს მტერს, იმ არუთინამ შენ საქმე გიქნას, თუ დროზე არ გამოიძვრინე თავი!.. რამე ნაირათ უნდა დაახწიო თავი... იმ ბანკს უნდა მიაშურო, იმ ბანკს... მარა აგი დიდი „სერიოზნი“ საქმეა, ჩემო გოჯასპირ, და ასე შარაზეც არ გამოკეთდება... ახლა სად-ლობამაც მოატანა და ქე წევიდეთ ჩვენს „პურ-ღვინოში“. დღეს „ცნობის ფურცელში“ განცხადება წევიკითხე, რომ სულ ბზის ფასათ გოუხდია „ხაზეინს“ სასმელ-საჭმელი!.. (მიდიან „პურ-ღვინოში“).

ლაქია. რას ინებებთ, ბატონო?

ივანიკა. მე ხარჩო და ლომი მომიტანე, მარა ჩქარა, თუ ბიჭი ხარ, ძალიან მოშივებული ვარ!.. მეორე—სუკის მწვადი.

გოჯასპირ. მე ერთი კარგი არტალა ნივრით და ბასტურმა; ღვინოზე, რალა თქმა გინდა, ამხანაგობისა მაიტა.

(მიართმევენ პირველ კერძს)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივანიკა. აი, ერთი ნატყეპა ლომი[illegible] აგდებაა!.. ფუ!.. შეგარცხვინათ ღმერთმა! აგი ლომი კი არა, ხავიწია... მელოგინე ქალი ხომ არ ვარ, შე ოჯახქორო!...

გოჯასპირ. ერიპააა!.. ერთი შეხედე, რა პორციებია, და!.. შარშან ორი ამოდენა მოგქონდათ, ბიჭო, და ახლა რალა დაგმართნიათ ესა?!..

ივანიკა. ურული ხრიკი თუ გინდა, სტორეთ აგია! შარშან რომ ათ შაურათ ყიდდა, იმაში ახლა ოთხ აბაზს იღებს!!.. საჯაყი დრო დადგა სწორეთ, საჯაყი!.. ყველა ორ-პირობას და ტყუილებს ადგია!!.. ალბათ გაზეთიც ამიტომ ოუქიანურებია, რომ საზანდრული ქებით მუშტრები მოიყიდოს. იქინაც ხომ ხარჯი ექნება. აპა, ტყულათვეი გაზეთი რეიზა შეასხამდა ქებას?...

გოჯასპირ. ივანიკა, მოიტა ერთი შენი გაზეთი წავიკითხო, როგორ სწერია შიგა.

(ივანიკა აძლევს „ცნობის ფურცელს“ და გოჯასპირ ხმამაღლა კითხულობს).

„მშვენიერ ვახშამს იძლევა
ჩვენი „პურ-ღვინო“ ღამით;
დღისით ამზადებს ისეთ ღომს,
რომ ვერ გაძღები ჭამით!...“

(აქ ივანიკა აწყვეტინებს გოჯასპირს კითხვას და კარანდაშით წერს ქაღალდის ნაგლეჯზე)

მაგია აჭი-ბაჭია,
დაწერილია ქრთამითა,
ჭორია, ცხელი ტყუილი
და თავი მოაქვს ამითა?!..

გოჯასპირ. ხა, ხა, ხა, ხა!—რა მოჭახრაკებული რამა ხარ, ჩემო ივანიკა!... ასე ხელათ ლექსის გამოცხობას ათასში ერთიც ვერ მოახერხებს ხოლმე!..

ივანიკა. წეილე (ლაქიას), აი, ლექსი და ჩემგან სახსოვრათ მიართვი შენ „ხაზეინს“, თხოვოს გაზეთის ლედახტორს აგიც იქინა ჩოუბეჭდოს, საცხა მისი ქება იბეჭდება.

ელგა.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

Доз. ценз. Тифлисъ, 4 Октября 1897 г. Тип. М. Д. Ротиніанца—სტამბა, ი. დ. როტინიანცისა Гол. пр. д., № 41.